პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 მაისი პარასკევი 1971 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 121 (15031)

ეს არის მთავარი, პროპაგანდისტებო!

ბოლშევიკური პარტიის XXIV ყრილობის ცხოველმყოფელი იდეები, მისი გადაწყვეტილებები გახდა კომუნისტების, მილიონობით მშრომელთა მოქმედების პროგრამა. ყრილობამ არა მარტო დასახა საარსებო ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანები, არამედ კიდევაც შეიმუშავა პარტიის იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებანი.

იდეური ცხოვრება ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო შესამჩნევად გააქტიურდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში. პროპაგანდისტთა ათობით ჯგუფი იყო რაიონებში, რათა ყრილობის იდეები და გადაწყვეტილებები გაეცნო მშრომელებისათვის. პოლიტიკური განათლების ქსელის მუშაობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა სკკპ XXIV ყრილობის მასალების შესწავლამ. ამ მიმართულებით დიდ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან ყრილობის დელეგატები.

ცხადია, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება ხანმოკლე კომპანია როდია. ეს მუშაობა გათვალისწინებულია ხანგრძლივი პერიოდით და იგი უნდა ვაწარმოოთ სისტემატურად, ღრმად. მჭიდროდ დავუკავშროთ მშრომელთა კოლექტივებს კონკრეტულ ამოცანებს. ამიტომ საჭიროა ბუნებრივია, როცა პარტიული განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო წელს შემაჯამებელ მეცადინეობაზე ძირითადი ყურადღება გამახვილდება სკკპ XXIV ყრილობის მასალების შესწავლაზე. კერძოდ, სწავლების ყველა რგოლში, გარდა მარქსიზმ-ლენინიზმის იმ სკოლებისა, რომლებიც სწავლობენ პარტიის ეკონომიურ პოლიტიკასა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საკითხებს, შემაჯამებელი მეცადინეობა მიეძღვნება ყრილობის მასალების ბოლო თემას: „პარტიის განვითარება და შინაპარტიული ცხოვრების ზოგიერთი საკითხი“.

შემაჯამებელი მეცადინეობანი ქალაქად და სოფლად უკვე დაიწყო და ყველგან უნდა დამთავრდეს 1 ივნისისათვის. წინასწარი მონაცემები ცხადყოფენ, რომ მილიონთა ლენინურ უნივერსიტეტში ჩაბმული კომუნისტები და უპარტიო ამხანაგები სასწავლო წლის მანძილზე ღრმად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს, გულდასმით სწავლობდნენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს. გარდაბნის რაიონის ბევრ პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილ სკოლებსა და თეორიულ სემინარებში უკვე გამართა შემაჯამებელი მეცადინეობანი. პირველი შედეგები კარგია.

შემაჯამებელ მეცადინეობებზე იდეოლოგიური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების თავიანთ მდიდარ გამოცდილებას კიდევ უფრო ავსებენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის საქალაქო და ზუგდიდის, მახარაძის, გორის, ახალციხის, გურჯაანის რაიონული პარტიული ორგანიზაციები.

სწორედ ახლა მთავარი ის არის, რომ პროპაგანდისტებმა პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად მოსთხოვონ კომუნისტებს, თუ როგორ შეისწავლეს მათ ყრილობის მასალები, შესწევთ თუ არა უნარი გაიყოლიონ, დარაზმონ მასები პარტიის წინასწარდახასულობათა განსახორციელებლად. პოლიტიკური ცოდნის შეფასებაში არ შეიძლება ლიბერალიზმი. აქ საჭიროა პრინციპულობა და მაღალი მომთხოვნელობა. კომუნისტი, რომელიც სისტემატურად არ იმაღლებს იდეურ-თეორიულ დონეს, ვერ იქნება სადღეისო ამოცანების მოწოდების სიმაღლეზე, ამიტომ ასეთ ამხანაგებს უნდა ვაგრძნობინოთ პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე.

გასული წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ცალკეულ რაიონებში შემაჯამებელმა მეცადინეობამ ორგანიზებულად ჩაიარა, მაგრამ მსმენელთა მომზადების დონე ჩვეულებრივი მეცადინეობის სიმაღლეზეც არ იყო. ორი-სამი კაცის აქტიურობით ცდილობდნენ დანარჩენ მსმენელთა პასიურობის მიჩქმალვას. ასეთი პრაქტიკა არ უნდა გამეორდეს. შემაჯამებელი მეცადინეობის მაღალ დონეზე მიუთითებს არა მხოლოდ ყველა მსმენელის ორგანიზებული გამოცხადება, არამედ თვითეული მათგანის ღრმა თეორიული ცოდნა, მათი აქტიურობა.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან იზრუნონ იმისათვის, რომ შემაჯამებელი მეცადინეობები ყველგან ჩატარდეს მაღალ იდეურ დონეზე და ორგანიზებულად.

მილიონთა ლენინური უნივერსიტეტის მუშაობის შეჯამება უნდა გადავაქციოთ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებად. სასურველი იქნება პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პარტიული კომიტეტის წარმომადგენელი და პროპაგანდისტი ფანქრით ხელში აღრიცხავდნენ ყველა იმ მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც გასათვალისწინებელი იქნება მომავალში. არ უნდა დავარღვიოთ ტრადიცია — სასწავლო წლის შედეგები განვიხილოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პარტიული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე.

შევაჯამოთ და ვემზადოთო! ეს არის დღეს ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა კომუნისტების პარტიულ სწავლებაში. მარქსისტულ-ლენინური განათლება ავიყვანოთ ახალი ამოცანების დონეზე, დავრაზმოთ კომუნისტები და ყველა მუშაოველნი სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის!

ხალხის კანდიდატები

ქამწყობი-ზეინკალი
გიური ფულაია

მოწინავე მჭსოველი
მაყვალა საბიაშვილი

თბილისის ქარხანა „ელექტროგატმატის“ ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადა, კომუნისტი გიური ფულაია რომ ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი საუკეთესოა საწარმოში. ცვლის დავალებებს ბრიგადა 125-130 პროცენტით ასრულებს. თვითონ გ. ფულაია საწარმოში ათი წლის მუშაობის განმავლობაში მრავალ პროფესიას დაეუფლა და ამჟამად ყოველ უბანზე შეუძლია იმუშაოს.

გ. ფულაია დიდ დროს უთმობს საზოგადოებრივ მუშაობას. იგი ქარხნის პარტბიუროს, პარტიის კიროვის რაიკომისა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის წევრია.

შრომასა და საზოგადოებრივ მუშაობას გ. ფულაია ათავსებს საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლასთან.

გიური გალაქტიონის-ძე ფულაია საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად არის დასახელებული.

სურათზე: **გიური ფულაია.**

ფოტო ვ. მორგუნოვისა (საქდისის ფოტოქრონიკა).

სამუდამოდ დაახსომდა მაყვალა საბიაშვილს ის დღე, როდესაც პირველად გადაბიჯა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ზღურბლს და შრომის ცხოვრებას შეეფდა.

ქალაშვილი საწარმოში სკოლის მერხიდან მოვიდა, ძნელი იყო შესწავლოდა დაზგის, დაუფლებოდა შრომითს ჩვევებს. მას შემდეგ 13 წელი გავიდა. მაყვალა დაოსტატდა. ახლა კომბინატის საუკეთესო მქსოველია. მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას აშვებს.

საწარმოს კოლექტივმა მოწინავე მქსოველი მაყვალა ვლადიმერის ასული საბიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა.

სურათზე: **მოწინავე მქსოველი მაყვალა საბიაშვილი.**

ფოტო რ. კაპარაპასი. (საქდისის ფოტოქრონიკა).

ზრომითი ჰაჯაკი საამფოგლოს

საქართველოს მრეწველობამ შეასრულა ხუთი თვის გეგმა

მხარს უჭერენ რა მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობას ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულების შესახებ, საქართველოს მშრომელები ძალ-ღონეს არ იშურებენ სახოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ახალი მეჯნების მიღწევისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, ვადამდე — 27 მაისს გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა.

მაისის დამლევამდე დავალებას გადაჭარბებით გამოვა ათობით მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია, მათ შორის ფოლადი, ნაგლინი, მანგანუმი, აგტოსაწევრები, ლითონსაჭრელი ჩარხები, ხელსაწყოები, ელექტროტექნიკური და პლასტმასის ნაკეთობანი, ავეჯი, ქსოვილი, შეკერილი ნაწარმი, კონსერვები, აგრეთვე სხვა სახეობათა პროდუქცია.

მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის სრულყოფის, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში, რამაც შესაძლებელი გახადა კიდევ უფრო გადიდებულიყო შრომის ნაყოფიერება. განსორციელდა პროდუქციის, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის ამაღლების მთელი რიგი ღონისძიებანი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, ჭიათურის მანგანუმის ტრუსტის, ბათუმის მანკანათსაშენებელი ქარხნის, სოხუმის ხელსაწყოთა ქარხნის, თბილისის „ამპულ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, თბილისის ავთვის კომბინატ „განთიადის“, თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის, გორის საკონსერვო ქარხნისა და რესპუბლიკის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ესწრაფვიან რა ღირსეული წვლილი შეიტანონ ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა რეალიზაციაში, საქართველოს მრეწველობის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შრომითი ჯამარჯვებანი მოიპოვონ. (საქდესი).

თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ხუთი თვის გეგმა

თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ებრძვიან 1971 წლისათვის მოსკოველთა თაოსნობით ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, ვადამდე, 27 მაისს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა.

მაისის დამლევამდე სახელმწიფოს დამატებით მიეცემა კიდევ რამდენიმე მილიონი მანეთის მძიმე მრეწველობის მზა პროდუქცია და სახალხო მოხმარების საქონელი.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო, დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ფოლად-თუჯსამსხმელო, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, სატელეგრაფო აპარატურის, ქიმიურ-ფარმაცევტული, თბილისის ხელსაწყოთსამშენებლო, „მაგნიტოფონის“, „პლასტმასის“, ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, ავჭალის შუშის, ორჯონიკიძის სახელობის მანჭანათსამშენებლო, № 1 და № 2 ავტოსარემონტო, № 1 და № 4 მექანიკური, № 1 და № 3 ღვინის, კონიაკის ქარხნების, სართავ-სატრიკოტაჟო და მაუდ-კამვოლის „საბჭოთა საქართველოს“, რძის კომბინატების, № 1 და № 2 თამბაქოს, ჩაისსაწონი, № 1 და № 6 სამკერვალო ფაბრიკების, თბილისის მეტროპოლიტენის, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების, საავიაციო ტრანსპორტის, № 1 და № 5 ავტოსატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივები.

თბილისის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეული წვლილი შეიტანონ ახალი, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების საქმეში. (საქდესი).

ვ. მჟავანაძემ გადასცა საპატიო ჯილდოები

ბორჯომი. აქ, საკურორტო დარბაზში 26 მაისს გაიმართა ბორჯომის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება. კრება მიეძღვნა რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების იმ მოწინავეთა დიდი ჯგუფისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოების გადაცემას, რომლებმაც თავი ისახელეს მერვე ხუთწლედის გეგმების შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე.

საზეიმო კრება გახსნა პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კუხიანიძემ, რომელმაც სიტყვა მისცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. კვაპაძეს. მან წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რაიონის სოფლის მეურნეობის იმ მუშაკთა ორდენებითა და მედლებით ჯილდოების შესახებ, რომლებმაც ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს გასული ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჯილდოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მედლები — გადასცა ვ. მჟავანაძემ.

ჯილდოებულთა სახელით კრებაზე გამოვიდნენ სოფელ ზანავის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ს. ჩაღუნელი, დვირის მერძეველობა-მეძროხეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. მასსუარაძე, სოფელ წაღვერის კოლმეურნეობის მწყემსი ბ. ხარჩილაძე, ბორჯომის სატყეო მეურნეობის მეტყევე ზ. ბობოლაძე, ციხისჯვრის ჯიშთსანაშენო საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი ხ. ბარძიმიძე, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის დიდად დაფასებისათვის, პირობა დადეს, რომ თავდადებით იშრომებენ ახალი ხუთწლედისათვის პარტიის მიერ დასახული გეგმების ვადამდე შესასრულებლად.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ვ. მჟავანაძემ, რომელმაც გულთბილად მიულოცა ჯილდოებულთ, უსურვა მათ ახალი შრომითი გამარჯვებანი, ჯანმრთელობა და ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

რაიონის მშრომელთა სახელით ბ. კუხიანიძემ აღუთქვა პარტიასა და მთავრობას, რომ ბორჯომელები ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის.

ქარელი. 27 მაისს ქარელის კულტურის სასახლეში დიდი ზეიმი გაიმართა: რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ჯგუფისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოების გადასაცემად აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე.

საზეიმო კრება გახსნა პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. მასარობლიძემ, რომელმაც სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების წასაკითხად მისცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. კვაპაძეს.

ჯილდოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მედლები — გადასცა ვ. მჟავანაძემ.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ბრმგბაძემ, კომკავშირის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ნინიძემ, ციხისჯვრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანმა ბ. ზაკუტაშვილმა, ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ს. მშვიდობაძემ, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის დიდად დაფასებისათვის და განაცხადეს, რომ კიდევ უფრო ნაყოფიერად იშრომებენ სამშობლოს სასახელოდ.

ვ. მჟავანაძემ გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ დიდი წარმატებანი შრომაში, ჯანმრთელობა და დიდი ბედნიერება პირად ცხოვრებაში.

რაიონის ყველა მშრომელის სახელით ამხ. მახარობლიძემ აღუთქვა პარტიასა და მთავრობას, რომ ქარელელები ყველაზე ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ ახალი ხუთწლედის დავალებების, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული დიდებული გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

კასპი. 27 მაისს კულტურის სახლში გაიმართა კასპის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის იმ მოწინავეთა დიდი ჯგუფისათვის მთავრობის ჯილდოების გადაცემას, რომლებმაც წარმატებანი მოიპოვეს მერვე ხუთწლედში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე.

საზეიმო კრება გახსნა კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ოდიშვილმა, რომელმაც სიტყვა მისცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. კვაპაძეს: მან წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ორდენებითა და მედლებით რაიონის სოფლის მეურნეობის იმ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გასული ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში.

ჯილდოები გადასცა ვ. მჟავანაძემ. მან გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა ჯანმრთელობა, ახალი დიდი წარმატებანი შრომასა და პირად ცხოვრებაში.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ სოფელ ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბუდაბაშვილი, კასპის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ვ. ბურდული, სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე დ. მცხვედლაძე, ახალქალაქის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. თარხნიშვილი, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაიხადეს მათი შრომის დიდი დაფასებისათვის და პირობა დადეს, რომ კიდევ უკეთ იმუშავებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, მთელ ძალღონეს მოახმარენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

რაიონის ყველა მშრომელის სახელით ამხ. ოდიშვილმა აღუთქვა პარტიასა და მთავრობას, რომ კასპელები ყველაზე იქნებიან სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. (საქდესი).

ახალი მიღწევებისაკენ

ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის შეხვედრა ამომრჩევლებთან

ასოგით ამომრჩეველი შეიკრიბა 27 მაისს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში. აქ ისინი დიდი გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში შეხვედნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს ქალაქ თბილისის № 15 25 თებერვლის საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **გივი დმიტრის-ძე ჯავახიშვილს.**

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტალური და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ყიფშიძემ. იგი ამბობს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს მაღალი პოლიტიკური აქტივობისა და დიდი აღმავლობის ვითარებაში. სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის წიახსწარდასახულობათა განხორციელების ნიშნით შრომობენ ახლა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი. სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებათა მუშაკები, კულტურის ძოლოვწეები. საქართველოს მშრომელნი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით განახორციელონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების პროგრამა, რომელიც პარტიამ დასახა.

ტაშის გრიალში ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

ტრიბუნაზეა ნდობით აღჭურვილი პირი — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი **გ. მარუაშვილი.** ქალაქ თბილისის № 15 25 თებერვლის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა, ამბობს იგი, წინასაარჩევნო კრებებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი დმიტრის-ძე ჯავახიშვილი. გ. მარუაშვილი დამსწრეთ მოუთხრობს დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების, მისი ნაყოფიერი საზელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, მისი დამსახურების შესახებ ჩვენს რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში. იგი ახასიათებს ამხ. გ. დ. ჯავახიშვილს როგორც კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს. ორატორი მოუწოდებს შეარჩიონ არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა მას და ამით ხმა მისცენ საბჭოთა საქართველოს შემდგომ აყვავებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სიტყვა ეძლევა თბილისის საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელძღვანელს, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატს ე. ბედუკაძეს. იგი ამბობს, რომ საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ მუშაკმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი დმიტრის-ძე ჯავახიშვილი. გ. მარუაშვილი დამსწრეთ მოუთხრობს დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების, მისი ნაყოფიერი საზელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, მისი დამსახურების შესახებ ჩვენს რესპუბლიკაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში. იგი ახასიათებს ამხ. გ. დ. ჯავახიშვილს როგორც კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს. ორატორი მოუწოდებს შეარჩიონ არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა მას და ამით ხმა მისცენ საბჭოთა საქართველოს შემდგომ აყვავებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ქარხანა „ავტო-პრაღაში“ 1971 წლის 27 მაისს

ძვირფასო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი შეხვედრისათვის, იმ გულთბილი მეგობრული სიტყვებისათვის, რომლებიც აქ თქვა საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესახებ. ჩვენ, სკკპ დელეგაციის წევრები, რომლებიც თქვენს ქვეყანაში ჩამოვედით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობაზე, დიდი სიხარულით გადავცემთ „ავტო-პრაღის“ კოლექტივისა და ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის სხვა ქარხნების წარმომადგენელთა ძმურ სალამს ჩვენს ხალხს, საბჭოთა კომუნისტებს, სსრ კავშირის მუშაოთ კლასს. ამიტომ ნება მიბოძეთ პირად მადლობასთან ერთად მადლობა გიძღვნათ მთელი საბჭოთა მშრომელი ხალხის სახელით. გმადლობთ, ამხანაგებო!

ყოველი საბჭოთა ადამიანის გულში „ავტო-პრაღის“ ქარხნის ხსენებაც კი კეთილ გამოძახილს პპოვებს. ჩვენ მეგობრებს არ ვივიწყებთ და ვიცით ჩვენს საერთო საქმეში, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში თანამებრძოლთა მამაცობისა და სიმტკიცის დფასება. ჩვენ კარგად გვახსოვს 1968 წლის ძნელი ზაფხული, როცა ყველა საბჭოთა ადამიანი, ნამდვილად ყველა — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები იყვნენ თუ მუშები და კოლმეურნეები — მღელვარებითა და შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ აღიმართა სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში კონტრრევოლუციური გადატრიალების აჩრდილი. მაშინ სოციალიზმის მტრებმა „ორი ათასი სიტყვა“ კი არა, არამედ ალბათ ორი ან ოცდაორი მილიონი სიტყვა თქვეს, რათა შეერყიათ თქვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის რწმენა განვითარების სოციალისტური ლენინური გზისადმი. ბევრ ხრიკს მიმართეს მაშინ, რომ შეერყიათ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ავტორიტეტი, წაერთმიათ მისთვის ხელმძღვანელი როლი საზოგადოებაში და მსოფლიო იმპერიალიზმის გასახარად განხეთქილება შეეტანათ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობაში, ჩამოეშორებინათ იგი სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამეგობრობისაგან. და სწორედ აქ, თქვენს „ავტო-პრაღის“ ქარხანაში, გაისმა 99 ინტერნაციონალისტის მგზნებარე ხმა. მათ ვეუბნებოდნენ ადამიანებს: „ჩვენი მეგობრობა, ჩვენი მოკავშირეობა ნაყოფთან სოკოლოვთან, დუკლაზე და სხვა ბრძოლებში ერთად დაღვრილი სისხლით. ჩვენი მტრები არ იცვლებიან. ეს იგივე იმპერიალისტები და მათი დაზვერვები არიან, ოღონდ დღეს ისინი უფრო გამოცდილი და ამიტომ უფრო საშიში გახდნენ...“

მაპატიეთ, რომ ციტატი მოვიყვანე ამ წერილიდან, რა თქმა უნდა, თქვენ იგი რეშეზე უკეთ გახსოვთ, აქ ხომ ბევრია იმათგან, ვინც ამ წერილს წერდა. მაგრამ არ შემეძლო არ გამეხსენებოდა ეს წერილი, რადგან იმისათვის, რომ ასეთი სიტყვები დაეწერა და გამოექვეყნებინა საბჭოთა კომუნისტების გაზეთში — „პრავდაში“, ჩეხოსლოვაკიაში 1968 წლის ზაფხულში დიდი მამაცობა, რევოლუციონერი მუშის ნამდვილი მამაცობა უნდა გამოეჩინა კაცს.

ჩვენმა ხალხმა, ყველა ჩვენთაგანმა კარგად ვიცით, რომ „99-ის წერილის“ ავტორებს ბევრის გადატანა მოუხდათ. სოციალიზმის მტრები სდევნიდნენ მათ, „განდგომილებსა“ და „მოღალატეებსაც“ კი უწოდებდნენ. მაგრამ „99-ის წერილში“ ისევე როგორც სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ბევრი სხვა პატრიოტის გამოსვლებში, მაშინ საკვეყნოდ გაისმა ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასის ნამდვილი ხმა. ეს ხმა შემდეგ ვეღარ ჩაახშეს ანტისოციალისტური და ანტისაბჭოური პროვოკაციების სპეციალისტთა ვერავითარმა ბრიკებმა, ვერავითარმა ცილისწამებამ, ვერავითარმა სიცრუემ.

ეს ხმა და სოციალიზმის საქმის ერთგული სხვა ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტებისა და უპარტიოების — მუშების, გლეხების, ინტელიგენტების ხმები გაიგონეს. ამ ხმებმა ფაფოთო გაძოძახილი ჰპოვა მთელ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში, მთელ ქვეყანაში, ყველა პატიოსანი ადამიანის გულში. ნამდვილი კომუნისტების სიმტკიცის შედეგად სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძმური დახმარებით ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში ჯანსაღმა ძალებმა შეძლეს ჩაეშალათ კონტრრევოლუციური გადატრიალების ცდა ჩეხოსლოვაკიაში, გაენადგურებინათ ანტისოციალისტური, მემარჯვენე ოპორტუნისტული და რევიზიონისტული ძალები, კვლავ დასდგომოდნენ მარქსისტულ-ლენინურ გზას. ცხოვრებამ ძოელი სიცხადით გვიჩვენა, სიხამდვილეში ვინ იყო განდგომილი და მოღალატე, და ვინ — თავისი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილი მოკალაქე. დღეს სად არიან ისინი, ვინც მოუწოდებდა 99 პატრიოტს დარბევას? სად არიან მათი მფარველები — ორპირი პოლიტიკოსები, რომლებიც ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ „მუშათა სოციალიზმზე“, მაგრამ უფრო მეტი ქნეს იმისათვის, რომ კვეყანაში გაეჩაღებინათ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა დაძველების აღვირახსნილი დევნა? ისინი თავისი რიგებიდან გააგდო პარტიამ, მათ ზიზღით შეაქცია ზურგი ხალხმა. „99-ის წერილის“ ავტორები კი აი აქ, ჩვენთან ერთად არიან. თავიანთ კლასობრივ ძმებთან ერთად ისინი შრომით განამტკიცებენ თავიანთ რესპუბლიკ

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

ვნოა, რომ მთელი ახალგაზრდობა ქარხნის კოლექტივში გავატარე. აქ, თქვენთან როცა ვარ, უნებურად ვფიქრობ, როდის დიდ როლს ასრულებს სოციალიზმის მშენებლობაში, სოციალისტური ქვეყნების მთელ ცხოვრებაში მუშათა კლასი. ამას ცხადყოფს სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის მთელი ისტორია, მთელი ჩვენი გამოცდილება. თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ ჩეხოსლოვაკიაში 1948 წლის ძლევამოსილი თებერვლის, ისევე როგორც ეს რუსეთში იყო 1917 წლის ოქტომბერში, ძირითად ძალას სწორედ მუშათა კლასი წარმოადგენდა, რომელიც კომუნისტების ხელმძღვანელობით დარაზმა ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, და რომელსაც გაჰყვა გლეხობა, ინტელიგენცია, მთელი მშრომელი ხალხი.

თქვენ, ჩეხოსლოვაკიელ მუშებს, ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტებს გაქვთ კარგი მისალმება „ჩესტ პრაცი“ — დიდება შრომას. დიდება შრომას, დიდება მუშის მარჯვენას, რომელიც ამენებს სოციალიზმს, ქმნის ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემოა და რითაც ადამიანს აიარაღებს თანამედროვე ცივილიზაცია — უზუსტესი ხელსაწყოები იქნება ეს თუ გიგანტური ელექტროსადგურები, კოსმოსური ხომალდები თუ სახლები, რომელშიც ვცხოვრობთ. ყველაფერი, ყველაფერი ჩვენს ირგვლივ მუშის ნახელავია! და, კაცმა რომ თქვას, ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში შრომელი ინტელიგენციაც და მთელი ხელმძღვანელი კადრებიც, შეიძლება ითქვას, წარმოშვა უმთავრესად მუშათა კლასმა, გამოსული არიან მუშათა რიგებიდან, მასთან არიან დაკავშირებული ღვიძლი ნათესაური კავშირით. მუშები საზოგადოების ყველაზე რევოლუციური, დისციპლინიანი და ორგანიზებული ძალაა, რომელიც ყველაზე თანმიმდევრულად დაინტერესებულია, რომ განხორციელდეს საზოგადოებრივი განვითარების სოციალისტური და კომუნისტური მიზნები. სწორედ ამიტომ ეკისრება მუშათა კლასს მთავარი პასუხისმგებლობა სოციალიზმის შენებლობისთვის. სწორედ ამიტომ კომუნიზმის მტრები ძალღონეს არ იშურებენ, რათა წაართვან მუშათა კლასს მისი წამყვანი როლი. თავგზა აუბნიონ მუშებს, თვალ მოახვიონ უცხო იდეოლოგია, დაჩრდილონ მშრომელთა კლასობრივი შეგნება. ასე იქცეოდნენ ისინი, სამწუხაროდ, თქვენთანაც, ჩეხოსლოვაკიაშიც.

თქვენ გახსოვთ, რომ მემარჯვენე და ანტისოციალისტური ძალების არსებნალში ბევრი ლაშაზი და მაღალფარდოვანი სიტყვა იყო. ისინი სპეკულაციურად იყენებდნენ ცალკეულ ეკონომიურ სიძნელეებს და ჩიჩქს სცხებდნენ მეურნეობის მთელ სოციალისტურ სისტემას. მათ სურდათ გაეფექვებინათ ქარხნების, ფაბრიკების, მახტების ბანაკსახალხო საკუთრება. ისინი უარყოფდნენ ეკონომიკის დაგეგმვის ლენინურ პრინციპს და განზრახული ჰქონდათ დაგეგმვა შეეცვალათ საწარმოთა „თავისუფალი კონკურენციით“. ისინი ოცნებობდნენ რესპუბლიკაში აეღორძინებინათ „კაპიტალების ბაზარი“ და „შრომის ბაზარი“, რაც ყველასათვის გასაგებ ენაზე ნიშნავს ბირჟას და უმუშევრობას. საბჭოთა ადამიანებმა დიდი კმაყოფილებით დაინახეს, რომ ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი არ გაჰყვა სოციალიზმის მემარჯვენე რევიზიონისტულ „რეფორმატორებს“. მუშათა კლასი მიხვდა, რომ მემარჯვენეები დაღუპვას უქადიან ყველაფერს, რისთვისაც ათწლეულების მანძილზე იბრძოლნენ ჩეხოსლოვაკიის მშრომელები თავიანთი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. მუშათა კლასმა მხარი დაუჭირა სოციალისტური საკუთრების განმტკიცებას, ეკონომიკაში ნამდვილად სოციალისტური ხაზის განხორციელებას.

ჩვენ ვიცით, რომ მემარჯვენეები სპეციალურად დადიოდნენ ქარხნებში, რათა ელაპარაკათ დემოკრატიაზე, მისი განვითარების აუცილებლობაზე. ისტორიი ატვირთეს ამოქექეს ეგრეთწოდებული „წმინდა“ და „უკლასო“ დემოკრატიის, ესე იგი ისეთი დემოკრატიის ლოზუნგი, რომელიც ბუნებაში არ არსებობს. ასეთი დემაგოგიის ნიღბით მემარჯვენე რევიზიონისტები არღვევდნენ სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიულ კანონებს, რომლებიც მუშათა კლასმა მოიპოვა. ქვეყანაში აღვივებდნენ სოციალიზმის დამცველთა წინააღმდეგ პოლიტიკური ტერორის ატმოსფეროს, მათ არსებითად ართმევდნენ კანონით გარანტირებულ ყველაზე ელემენტარულ უფლებებს. ყბადაღებული „დისკუსიების თავისუფლება“ სინამდვილეში სოციალიზმის მტერთა მოქმედების თავისუფლებად გადაიქცა. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასმა არავის არ მოატყუებინა თავი. მან დაამტკიცა, რომ იყო, არის და იქნება დემოკრატიის, მაგრამ არა ცრუბურჟუაზიული დემოკრატიის, არამედ იმ ნამდვილი სოციალისტური დემოკრატიის თანმიმდევრული მომხრე, რომელიც საშუალებას აძლევს თვით მშრომელებს მართონ სახელმწიფო და წარმართონ საზოგადოების ცხოვრება მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მემარჯვენე ძალები ცდილობდნენ, რომ თქვენი ქვეყანა დასდგომოდა კაპიტალისტური დასავლეთისადმი მორჩილების გზას. საბჭოთა ადამიანებს ეს კარგად ესმოდათ. ამას ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასიც მიხვდა და არ გაჰყვა მემარჯვენეებს. ისევე, როგორც 1948 წლის თებერვალში, მან მხარი დაუჭირა სოციალიზმს, გაჰყვა თავის კომუნისტურ პარტიას.

სახელი და დიდება ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასს!

დიდება სოციალიზმის მშენებელთა შრომასა და ბრძოლას! ჩესტ პრაცი!

ამხანაგებო!

უკვე მესამე დღეა ჩვენ ვმონაწილეობთ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის მუშაობაში. შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ყრილობა ღრმა, ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანაანგარიშო მოხსენება, რომელიც ამხანაგმა გუსტავ ჰუსაკმა გააკეთა, აგრეთვე ამხანაგების ლუბომირ შტროუგალისა და მილოშ იაკუბის მოხსენებები, რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ლუდვიკ სვობოდას სიტყვა შეიცავენ იმ გზის ღრმა მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ და ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებამ განვლეს უკანასკნელ წლებში, სახავენ მომავლის ნათელ კურსს.

ყრილობაზე უკვე ვთქვი და აქ ერთხელ კიდევ მინდა გავიმეორო, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობას სრული უფლებით შეგვიძლია ვუწოდოთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის მტრებზე გამარჯვება, სოციალიზმის გამარჯვების ყრილობა.

ჩეხოსლოვაკიის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, რომლებსაც ყრილობა განიხილავს, ნამდვილად შთამაგონებელია. ცხადია, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია სახავს უახლოესი ხუთწლეულისათვის, საგრძნობ გავლენას მოახდენენ მთელი საზოგადოების ცხოვრებაზე, თვითეული ოჯახის, თვითეული ადამიანის ცხოვრებაზე. ცხადია, რომ ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება გზას გაუკვალავს სოციალიზმის ახალ გამარჯვებებს ჩეხოსლოვაკიაში, განამტკიცებს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებას, ისიც ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელება შეიძლება მხოლოდ თქვენი ქვეყნის მუშების, გლეხების, სახალხო ინტელიგენციის ბეჯითი შრომით, შემოქმედებითი, ალმშენებლობითი შრომით.

გვჯერა, რომ ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი ყოველ ღონეს იხმარს, რათა განახორციელოს თავიანი კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებანი, ყოველ ღონეს იხმარს, რათა მომავალი წლები თქვენი რესპუბლიკის ახალი აყვავების წლები გახდეს.

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით დიდი წარმატება ვუსურვო „ავტო-პრაღის“ ქარხნისა და პრაღის ყველა ქარხნისა და ფაბრიკის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს, ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელს — ვუსურვო დიდი და სრული წარმატება პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში თქვენი მშვენიერი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ამხანაგებო!

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ამას წინათ ჩვენშიც გაიმართა პარტიის ყრილობა — სკკპ XXIV ყრილობა. მან განიხილა და მიიღო ჩვენი ქვეყნის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი პროგრამა, განსაზღვრა პარტიის პოლიტიკის ყველა ძირითადი მიმართულება უახლოეს წლებში. სულ მოკლედ რომ ვთქვათ, ამ პოლიტიკის მთავარი აზრია შეაერთოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები და მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი და ახალი დიდი ნაბიჯი გადადგას წინ კომუნისტური მშენებლობის გზაზე, უზრუნველყოს საბჭოთა ხალხის ცხოვრების ისეთი მაღალი დონე, რომლის საშუალება დღემდე არ გვქონდა.

ჩვენი მიზანია უფრო უკეთესი, ლამაზი, ბედნიერი გავხადოთ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება. ჩვენ მოგველის დაძაბული და შთაგონებული შრომით აღსავსე წლები. ჩვენთვის ეს არის კეთილდღეობისა და ბედნიერების, ნათელი კომუნისტური მომავლის ერთადერთი გზა. მხურვალე მხარდაჭერა, რომლითაც ყველა საბჭოთა ადამიანი შეხვდა ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალი შრომითი წარმატებანი, რომლებითაც გამოეხმაურნენ ისინი ამ გადაწყვეტილებებს, — ყოველივე ეს მოწმობს, რომ დასახულ მიზნებს მივაღწევთ, რადგან ხალხი და პარტია ერთიანია, და ეს არის ჩვენი მთავარი ძალა!

ამხანაგებო!

დავალებებით, რომლებიც ჩვენი პარტიის ყრილობამ განსაზღვრა საბჭოთა ეკონომიკის სხვადასხვა დარგისათვის, გათვალისწინებულია მეგობარ სოციალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებიც. დადებულ შეთანხმებათა შესაბამისად, მაგალითად, სსრ კავშირი ახლანდელ ხუთწლედში მარტო ჩეხოსლოვაკიას მიაწვდის 70 მილიონამდე ტონა ნავთობს. ჩვენ ხომ ბევრ ნავთობს მივაწვდით აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, პოლონეთს, უნგრეთს, ბულგარეთს, კუბასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს. მომძე ქვეყნები მიიღებენ ჩვენგან აგრეთვე მეტ მადანს შავი და ფერადი მეტალურგიისათვის, მეტ გაზს, ქვანახშირს, სასუქებს. ჩვენი მხრივ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირს სოციალისტური ქვეყნები მოაწვდიან ნაწარმსა და საქონელს, რომლებიც სჭირდება ჩვენს სახალხო მეურნეობას.

ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობის განვითარება გათვალისწინებულია ჩვენი სახელმწიფოების ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმებით. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს წლებში მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამთ სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიური ინტეგრაციის მიმართულებით, წარმიმართ სულ უფრო მეტი სპეციალიზაციისა და კოოპერირების მიმართულებით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩეხოსლოვაკია თავისი მაღალი ტექნიკური კულტურითა და ტრადიციებით, თავისი მძლავრი ინდუსტრიული ბაზით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში. მთელ მსოფლიოში ცნობილია ჩეხოსლოვაკიელ მუშათა შესანიშნავი თვისებები, მათი ნიჭი, მაღალი პროფესიული მომზადება და შრომის კულტურა, ორგანიზებულობა, შრომისმოყვარეობა. მთელ მსოფლიოში აფასებენ ჩეხოსლოვაკიელ ინჟინერთა და ტექნიკოსთა შემოქმედებითს მიდგომას საქმისადმი, მათ ცოდნასა და გამოცდილებას. ერთი სიტყვით, თვითეულ სოციალისტურ ქვეყანას ჩვენს საერთო საქმეში შეაქვს თავისი საყურადღებო წვლილი — — რესურსები, შესაძლებლობანი, გამოცდილება. თუ ჩვენ ყველანი შევძლებთ ერთად განვსაზღვროთ ამ სიმდიდრეთა გამოყენების ყველაზე გონივრული გზები — ასეთი თანამშრომლობის მონაწილე თვითეული ქვეყნის ინტერესებისათვის და მთელი ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებისათვის — ეს იქნება დიდი საქმე, ამხანაგებო, უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების გზაზე.

ჩვენი ქვეყნების კომუნისტური პარტიები, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მუშათა კლასი და ყველა მშრომელი წყვეტენ საერთო ამოცანებს. ჩვენ ერთად ვაშენებთ სწორედ იმ „ჩვენს, ახალ ქვეყანას“, რომელსაც მშრომელთა და მებრძოლთა უკვე რამდენიმე თაობა უმღერის დიად რევოლუციურ ჰიმნში — „ინტერნაციონალში“. ასეთი ქვეყნის აშენება ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობაა მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე, კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტართა წინაშე, ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების წინაშე.

და როგორც უნდა ცდილობდნენ ჩვენი მტრები ხელი შეგვიშალონ ამ მშენებლობაში, — ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას. ახალი სამყარო — სოციალიზმისა და კომუნიზმის სამყარო აშენდება! ამისათვის ღირს ცხოვრება, ამისათვის ღირს მუშაობა, რადგან არ არის და არ შეიძლება ჰქონდეს უკეთესი მიზანი და უმაღლესი მოვალეობა არც ერთ კომუნისტს, არც ერთ მშრომელ ადამიანს.

ამხანაგებო!

რამდენიმე კვირის შემდეგ შესრულდება ზუსტად ოცდაათი წელი, რაც ჰიტლერული გერმანია და მისი სატელიტები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს და დაიწყო მეორე მსოფლიო ომის გადამწყვეტი ბრძოლები. მსოფლიო ისტორიის ამ უდიდეს ბრძოლებში საკითხი ასე იდგა: იარსებებს თუ არა საბჭოთა კავშირი — მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, დაიცავენ ევროპის ხალხები თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, თუ ფაშისტურ უღელქვეშ აღმოჩნდებიან.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იშვა ჩვენი ხალხების ძმობა. საბჭოთა ადამიანები წმიდად ინახავენ ხსოვნას და არასოდეს არ დაავიწყდებათ მამაცობა ჩეხოსლოვაკიური კორპუსისა ჩვენი პატივცემული მეგობრის, ახლა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ლუდვიკ სვობოდას მეთაურობით, სოკოლოვისა და დუკლის გმირთა საქმენი, სლოვაკიის სახალხო აჯანყების მამაც მებრძოლთა და აჯანყებული პრაღის გმირობა.

დრო მიდის. როგორც თქვენ, ამბობენ, ჩვენი შვილები ბერდებიან. მეოთხედ საუკუნეზე მეტმა განვლო, ბევრმა ბევრი, რაც აქ, პრაღაში, მიწყდა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ ზალპები ევროპაში. ბევრ რა [illegible] ომებისა [illegible] მსოფლიოში უკეთესობისაკენ. ხალხებმა [illegible] ომი [illegible] ხელი შეუშალონ იმპერიალისტებს ახალი ხოცვა-ჟლეტის გაჩაღებაში. მაგრამ ვიცით, რომ მსოფლიოში, ევროპის კონტინენტზე ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებსაც არა სურთ შეურიგდნენ მეორე მსოფლიო ომის ისტორიულ შედეგებს, ესწრაფვიან რევანშს, სურთ გადაკეთონ არსებული საზღვრები, დაუბრუნონ სოციალისტური ქვეყნების ხალხები ძველ, ბურჟუაზიულ წესწყობილებას.

ჩვენ, სოციალიზმის ქვეყნების კომუნისტები და ყველა მშრომელი, მებრძოლები, დიდი ისტორიული შერკინების მონაწილენი ვართ. ჩვენ მუდამ კლასობრივი მოწინააღმდეგის ტყვიების ზუზუნში ვცხოვრობთ. და იგი მით უფრო გაშმაგებით გვიშენს ტყვიას, მით უფრო გაფფრთხილი გვესმის თავს, რაც უფრო მეტ წარმატებებს ვაღწევთ კაპიტალიზმის სამყაროს წინააღმდეგ საერთო შეტევაში, რომელიც განუხრელად ვითარდება.

ჩვენი მოწინააღმდეგენი ყოველნაირად ცდილობენ შეარყიონ სოციალისტურ სახელმწიფოთა ძმური თანამეგობრობა, დაასუსტონ და გათიშონ ანტიიმპერიალისტური ძალების საბრძოლო ფრონტი. მათ სურდათ გამოეგლიჯათ ჩვენი რიგებიდან ჩეხოსლოვაკია — იმედი გაუცრუვდათ. ისინი ცდილობენ ყოველგვარი ყალბი ხრიკების, ცილისწამებისა და პროვოკაციების საშუალებით ჩამოაგდონ განხეთქილება სოციალიზმის ქვეყნებსა და კოლონიური ჩაგრისაგან განთავისუფლებულ პროგრესულ სახელმწიფოებს შორის. ამაოდ დაშვრებით, ბატონებო! ჩვენი ლენინური კურსი ნათელი და თანმიმდევრულია. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ყოველდღიურად მტკიცდებოდეს სოციალიზმის ქვეყნების დიადი თანამეგობრობა, რომ ღრმავდებოდეს ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის სოციალისტურ სახელმწიფოთა მეგობრობა და თანამშრომლობა. ჩვენ ყოველნაირად განვამტკიცებთ სბრძოლო კავშირს ყველა ანტიიმპერიალისტურ მებრძოლთან, მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალისტური პროგრესის მთელ ძალებთან.

სოციალიზმის ქვეყნების ერთობლივმა მოქმედებამ უკვე ბევრი სარგებლობა მოუტანა ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას. და დღეს შეგვიძლია გულდაჯერებით ვთქვათ: რაც უფრო მტკიცე იქნება ჩვენი მეგობრობა, მით უფრო მეტი იქნება თანამშრომლობა, მით უფრო მეტს გავაკეთებთ ჩვენ, ყველანი ერთად მთელი საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, მით უფრო მეტს გავაკეთებთ ომისათვის, რომ ჩვენი ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს ხალხები მშვიდობისა და უშიშროების პირობებში ცხოვრობდნენ.

შემიძლია აღვნიშვნავ, ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არ დაიშურებს ძალღონეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რომ ჩვენს ჩეხოსლოვაკიელ ძმებთან მეგობრული თანამშრომლობა სულ უფრო მრავალმხრივი ხდებოდეს, რომ მან მოიცვას ცხოვრებისა და შრომის სულ ახალი და ახალი დარგები, მოსახლეობის სულ უფრო ფართო წრეები, რომ იგი მთლიანად გადაიქცეს საბჭოთა ადამიანების გონებისა და გულის საქმედ ქალაქებსა და სოფლებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრებიც ამასვე ესწრაფვიან.

ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა ერთხელ კიდევ მხურვალე მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი დელეგაციის გულითადი მეგობრული შეხვედრისათვის და გისურვოთ ბედნიერება, ჯანმრთელობა, დიდი შრომითი წარმატებანი.

დიდება სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ გუსტავ ჰუსაკის მეთაურობით!

დიე მარად დღეგრძელობდეს, მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა!

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდი უურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა მეჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გვირგვინით შეამკეს კ. გოტვალდის საფლავი

პრაღა, 26 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). სკკპ დელეგაცია, რომელიც მონაწილეობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის მუშაობაში, დღეს, სხდომიდან სხდომამდე შესვენების დროს მივიდა ეროვნულ პანთეონში ვიტკოვის მთაზე.

დელეგაციის მეთაურმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა**, დელეგაციის წევრებმა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. ვ. გრიშინმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **პ. ე. შელესტმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. თ. კატუშევმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ სვერდლოვსკის სოფლო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ **ი. პ. რიაბოვმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ამხ. **ს. ვ. ჩერვონენკომ** წუთიერი დუმილით სცეს პატივი ჩეხოსლოვაკიისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის კლიმენტ გოტვალდის ხსოვნას.

დელეგაციამ გვირგვინით შეამკო კ. გოტვალდის საფლავი. გვირგვინის წინელ ლენტზე წარწერილია: „კლიმენტ გოტვალდს სკკპ დელეგაციისაგან“.

საბჭოთა სტუმრები იყვნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრების მემორიალურ დარბაზში.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

ინფორმაციის დღე

27 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ინფორმაციის დღე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ს. კვარაცხელიამ გააკეთა ინფორმაცია რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების შუშაობის ზოგიერთ საკითხზე.

საერთაშორისო მიმოხილვა გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების შტატგარეშე ლექტორმა ა. ი. ციცაიშვილმა. (საქდესი).

---

6. 3. პოდგორნის ვიზიტი
არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

კაირო, 26 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს კუბის სასახლეში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის ანვარ ს

28 მაისი მესაზღვრის დღეა

საბჭოთა საზღვრების სადარაჯოზე

ლენინის ინიციატივით 1918 წლის მაისში შექმნილმა სასაზღვრო ჯარებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს. დიდი მოვლენებით აღსავსე მთელი ამ წლების მანძილზე. საბჭოთა საზღვრების ფხიზელი გუშაგები პირნათლად და ღირსეულად ასრულებდნენ თავიანთ მნიშვნელოვან მოვალეობას, ვაჟკაცურად და მტკიცედ იგერიებდნენ იმპერიალისტური დაზვერვების მრავალრიცხოვან გამოხდომებს საბჭოთა საზღვრებზე.

განსაკუთრებით ადამიანურად ბრძოლა წინააღმდეგ გაფფთრებულ ბრძოლაში მესაზღვრეებმა ცხადყვნეს, რომ ფხიზელი და უშიშარი, კომუნისტური პარტიისა და ხალხის ბოლომდე ერთგული მეომრები არიან.

სასაზღვრო ჯარების მატიანის ყოველი ფურცელი მამაცობისა და სიმამაცის, ვაჟკაცობის, მხედრული წრთობისა და გმირობის მაგალითია.

სახელოვანი საბრძოლო ტრადიციებით არის მდიდარი ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების ისტორიაც. ამიერკავკასიაში საბჭოთა საზღვრების პირველი გუშაგები კავკასიის ცალკე არმიის მეომრები იყვნენ. ამ არმიამ ვაჟკაცურად და სახელოვნად განვლო გზა ასტრახანის ველებიდან არარატის მწვერვალებამდე, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, გადაიარა დაღესტანისა და ამიერკავკასიის მთა და ბარი, ყველგან უჩვენებდა მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული სამსახურის მაგალითს.

აქ, ამიერკავკასიის საზღვარზე ჩაიდინა უკვდავი გმირობა 1926 წლის მარტში ფითელარმიელმა ანდრია ბაბუშკინმა. საზღვრის დაცვის დროს ბაბუშკინი წინ გადაუდგა საზღვარგარეთელ ბანდიტს. სასიკვდილოდ დაჭრილი გმირულად იბრძოდა, სანამ საგუშაოდან მოშველეშოდნენ. სიცოცხლის უკანასკნელ წუთსაც კი იგი ფიქრობდა შშობლიურ საზღვარზე. „ხომ ვერ შემოვიდნენ?“ ჰკითხა ბაბუშკინმა ამხანაგებს და სული დალია.

იმავე წელს გმირის სახელი მიენიჭა სასაზღვრო საგუშაგოს, სადაც ბაბუშკინი მსახურობდა და უკვდავი გმირობა ჩაიდინა. ეს იყო საბჭოთა კავშირში პირველი სხველდებითი საგუშაგო.

ამ ბრძოლებში ბრძოლა ვრძელდებოდა. მტერთან ბრძოლებში იწრთობოდნენ ახალი ამიერკავკასიელი გმირები. პეტრე საიკინის, ტიმოფე ლიუშენინის, ნიკოლოზ გოლუბნიცკის, ივანე ლატაშის სახელებს სიამაყით ატარებენ საგუშაგოები, რომლებსაც მათ სახელი გაუთქვეს თავიანთი გმირობით.

ომის წინა წლებში ჩვენი ოლქის ფხიზელმა გუშაგებმა დაიჭირეს ასობით მტრის აგენტი, რომლებიც ცდილობდნენ შემოპარულიყვნენ ჩვენს ქვეყანაში.

